სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

24 აგვისტო, 2026 წ.

ბრძანება № 01-02/158

ბსუ-ს სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე 2026-2027 სასწავლო წლისათვის მიღების გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე და 47[8] მუხლების, „პირის სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 1 ივლისის №113/ნ ბრძანების, „2026–2027 სასწავლო წლისათვის ბსუ-ს სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები კონტინგენტის განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2026 წლის 23 ივლისის №06-01/128 დადგენილების, ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანის 2026 წლის 13 აგვისტოს MES 7 26 0001046814 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. 2026-2027 სასწავლო წლისთვის გამოცხადდეს მიღება ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის **სპეციალური მასწავლებლის მომზადების** საგანმანათლებლო პროგრამაზე (60 კრედიტი), ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით განსაზღვრული კონტიგენტის ფარგლებში (60 ადგილი).
2. აპლიკანტთა რეგისტრაცია განხორციელდეს **2026 წლის 01 სექტემბრიდან 09 სექტემბრის** ჩათვლით (შაბათ-კვირის გარდა) ბსუ-ს №2 კორპუსში, №213 ოთახი, 14:00 სთ-დან 17:00 საათამდე (მისამართი: ქალაქი ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქუჩა №32/35).
3. აპლიკანტმა რეგისტრაციისთვის წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) **აპლიკანტის <u>განცხადება (ანკეტა),</u>** შევსებული წინამდებარე ბრძანების **№1 დანართის** შესაბამისად);

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ბაკალავრის/მაგისტრის და/ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომისა და დანართის დამოწმებული ასლი (ბსუ-ს კურსდამთავრებულისათვის უნივერსიტეტის/შესაბამისი ფაკულტეტის მიერ, ხოლო სხვა შემთხვევაში - ნოტარიულად დამოწმებული ასლი; 2026 წლის კურსდამთავრებულთათვის - ცნობა აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე) და უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დ) ფოტოსურათი, ზომით 3X4–ზე;

ე) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირებისთვის).

ვ) ცნობა საგანმანათლებლო ინსტიტუციებიდან (სკოლები, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები და ა.შ.), დღის ცენტრებსა და ანალოგიურ დაწესებულებებში სწავლების არანაკლებ ორწლიანი შრომითი გამოცდილებით.

ზ) ინფორმაცია საბაზო პროფესიული უნარების გამოცდის ჩაბარებისა და მიღებული ქულის შესახებ (ამონარიდი სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ელექტრონული პორტალიდან).

4. პროგრამაზე **მისაღები გამოცდა ჩატარდეს 2026 წლის 11 სექტემბერს, წერითი ფორმით** (მაქსიმალური შეფასება - 100 ქულა, მინიმალური ზღვარი - 51 ქულა) **ბსუ-ს საგამოცდო ცენტრში** (ბათუმი, ფიროსმანის ქუჩა №12), პირველი ცვლა: გამოცდის დაწყების დრო - 10^{00} სთ, დასრულების დრო 13^{00} სთ, მეორე ცვლა: გამოცდის დაწყების დრო 14^{00} სთ, დასრულების დრო 17^{00} სთ.

4.1. მისაღები გამოცდის შედეგები გამოცხადდეს 2026 წლის 12 სექტემბერს (აპლიკანტების პირადი ნომრების მითითების გარეშე);

4.2. საპრეტენზიო განცხადება (არსებობის შემთხვევაში) წარმოდგენილი იქნეს 2026 წლის 14 სექტემბერს, ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურში (კანცელარია), ბსუ-ს №1 კორპუსში (ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. №35/32, №1 ოთახი);

4.3. საპრეტენზიო განცხადებების განხილვა მოხდეს 2026 წლის 17 სექტემბერს;

4.4. ბსუ-ს სპეციალური მასწავლებლის პროგრამაზე მისაღები გამოცდის საბოლოო შედეგები გამოქვეყნდეს 2026 წლის 17 სექტემბერს, ბსუ-ს ვებგვერდზე.

5. მისაღები გამოცდის საბოლოო შედეგების დაინტერესებულ მხარეთათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის შემდეგ, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის/სასწავლო პროცესის დეპარტამენტის მიერ **შეიქმნას რანჟირების დოკუმენტი**, სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობისა და ბსუ-ში ჩატარებულ გამოცდაზე აპლიკანტთა მიერ მიღებული ქულების შესაბამისად.

6. ბსუ-ს სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა ჩარიცხვის შესახებ <u>ბსუ-ს რექტორის ბრძანება გამოიცეს</u> <u>რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე,</u> <u>სპეციალური მასწავლებლის</u> მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ პირებთან ხელშეკრულებების გაფორმებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

7. რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე ბსუ-ს <u>სპეციალური მასწავლებლის</u> მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ პირებთან ხელშეკრულებები გაფორმდეს 2026 წლის **18 სექტემბერს,** 11^{00} საათიდან 17^{00} საათამდე (ხელშეკრულების გაფორმების ორგანიზება უზრუნველყოს აპლიკანტთა დოკუმენტაციის მიმღებმა კომისიამ, ქალაქი ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქუჩა №32/35, ბსუ-ს №2 კორპუსის №213 ოთახში).

8. ბსუ-ს სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ **ბსუ-ს რექტორის ბრძანება გამოიცეს არაუგვიანეს 2026 წლის 24 სექტემბრისა,** ზუსტ

მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანის მიერ წარმოდგენილი სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.

9. შეიქმნას აპლიკანტთა განცხადების/ანკეტის და სხვა დოკუმენტაციის **მიმღები კომისია,** ასევე **საგამოცდო და საპრეტენზიო კომისიები,** წინამდებარე ბრძანების **№2 დანართის** შესაბამისად და თავიანთი უფლებამოსილებები განახორციელონ ,,პირის სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2024 წლის 1 ივლისის №113/ნ ბრძანების, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესისა" და ამ ბრძანების შესაბამისად.

10. წინამდებარე ბრძანების აღსრულების მიზნით ბსუ-ს სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა/ფაკულტეტის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს პროგრამაზე მიღების შესახებ განცხადების ტექსტის მომზადება და გამოცდის ჩატარების ფორმატისა და სხვა დამატებითი ინფორმაციის ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსების ორგანიზება.

11. <u>სასწავლო პროცესის დეპარტამენტმა უზრუნველყოს</u> ბსუ-ს სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირების შესახებ ინფორმაციის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ელექტრონულად გაგზავნა, **2026 წლის 7 ოქტომბრის** ჩათვლით.

12. დაევალოს საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია) ბრძანება განათავსოს სამსახურთან და შესაბამის ფაკულტეტთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე.

13. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს ბრძანება განათავსოს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში ,,კონკურსები", რექტორის ბრძანებებში და ასევე ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ველში).

14. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (გ. ქათამაძე), ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტს, ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ბსუ-ს იურიდიულ დეპარტამენტს, ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), ბსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს.

15. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

16. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს რექტორი **ტიტე არაშიძე**

,,ბსუ-ს სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე 2026-2027 სასწავლო წლისათვის მიღების გამოცხადების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 24 **აგვისტოს №** 01-02/158 **ბრძანების**

№1 დანართი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის **სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი** **აპლიკანტის განცხადება (ანკეტა)**	
სახელი და გვარი	
პირადი ნომერი	
დაბადების თარიღი (რიცხვი/თვე/წელი)	
მოქალაქეობა	
სქესი	○ მამრობითი ○ მდედრობითი
ფაქტობრივი მისამართი	
რეგისტრაციის მისამართი	
ტელეფონი (მობილური)	
ელფოსტა	
მსურს ჩავირიცხო ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის **სპეციალური მასწავლებლის მომზადების** საგანმანათლებლო პროგრამის მოდულზე ---------- (პროგრამის საგნის/მოდულის სახელწოდება საფეხურის მითითებით)	
მიღებული განათლება	
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	
ფაკულტეტი, საგანმანათლებლო პროგრამა	
სწავლის პერიოდი	
მიღებული კვალიფიკაცია	
უცხო ენების ფლობის შესახებ ინფორმაცია (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, სხვა)	

წინამდებარე განაცხადის შემოტანის დროისათვის **აპლიკანტი არის თუ არა რომელიმე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი?**	○ **კი** (მიუთითეთ შესაბამის უსდ -ს დასახელება: ----------) ○ **არა**
წინამდებარე განაცხადის შემოტანის დროისათვის **აპლიკანტი არის თუ არა რომელიმე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელი?**	○ **კი** (მიუთითეთ შესაბამის ზსდ-ის დასახელება): ---------- ○ **არა**
სსიპ - შეფასების და გამოცდების ეროვნულ ცენტრში **ჩაბარებული საბაზო პროფესიული უნარების გამოცდა**	
სამუშაო გამოცდილება	
დამსაქმებელი დაწესებულება	
დაკავებული პოზიცია	
დასაქმების ხანგრძლივობა	

ბსუ-ს რეგულაციების გაცნობის შესახებ აპლიკანტის დადასტურება

აპლიკანტი აცხადებს, რომ წინამდებარე სააპლიკაციო განცხადების წარმოდგენამდე **გაეცნო** ბსუ-ს ეთიკის კოდექსს, **ბსუ-ს შინაგანაწესს** (რომელიც პროგრამაზე ჩარიცხულ პირთან ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში განიხილება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად), **ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკას,** ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებულ „ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესს" (აღნიშნული და ბსუ-ს სხვა რეგულაციები განთავსებულია ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე - www.bsu.edu.ge, ველში - ,,იურიდიული ცნობარი")

პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე აპლიკანტის
(შემდეგში - მონაცემთა სუბიექტი) **წერილობითი თანხმობა**

აპლიკანტი (მონაცემთა სუბიექტი) **აცხადებს თანხმობას,** ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის და ,,ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის" მოთხოვნათა დაცვით დამუშავდეს მისი პერსონალური მონაცემები (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ელფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი, საცხოვრებელი მისამართი, ფოტო, მიღებული განათლება, ჩაბარებული გამოცდის შედეგები), **ამ განცხადებაში აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნებისათვის და პროგრამაზე ჩარიცხვის შემდეგ, პროგრამის სასწავლო პროცესის მიზნებისათვის.**

აპლიკანტი (მონაცემთა სუბიექტი) **ადასტურებს (აცხადებს),** რომ ინფორმირებულია **მისი პერსონალური მონაცემების შენახვის ვადების** თაობაზე, კერძოდ, მისი პერსონალური მონაცემები დამუშავდება და შეინახება ამ განცხადებაში აღნიშნული მოთხოვნის განხილვა-დამუშავების, აპლიკანტთან საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულების გაფორმების და პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში, ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებული (საგანმანათლებლო მომსახურება) სამართლებრივი ურთიერთობის პროცესში მონაცემების დამუშავების ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად აუცილებელი დროით, ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვადით და წესით.

აპლიკანტი (მონაცემთა სუბიექტი) **აცხადებს,** რომ **ინფორმირებულია მონაცემთა სუბიექტის უფლებების შესახებ,** რაც მათ შორის გულისხმობს უფლებამოსილებას, მიიღოს ინფორმაცია მის შესახებ ბსუ-ს მიერ დამუშავებულ მონაცემებზე, მოითხოვოს მათი გასწორება, განახლება, დამატება, დაბლოკვა, წაშლა ან

განადგურება, თუ აღნიშნული მონაცემები არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული ან მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა დარღვევით. **ვადასტურებ ხელმოწერით:** ----------
აპლიკანტის განცხადებაზე თანდართული დოკუმენტები
1. პირადობის მოწმობის (ან პასპორტის) ასლი - 2. ბაკალავრის/მაგისტრის და/ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომისა და დანართის დამოწმებული ასლი (ბსუ-ს კურსდამთავრებულისათვის უნივერსიტეტის/შესაბამისი ფაკულტეტის მიერ, ხოლო სხვა შემთხვევაში - ნოტარიულად დამოწმებული ასლი; 2026 წლის კურსდამთავრებულთათვის - ცნობა აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე) და უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) – 3. ფოტოსურათი (ზომით 3X4–ზე) - 4. სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირებისთვის) – 5. ცნობა საგანმანათლებლო ინსტიტუციებიდან (სკოლები, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები და ა.შ.), დღის ცენტრებსა და ანალოგიურ დაწესებულებებში სწავლების არანაკლებ ორწლიანი შრომითი გამოცდილებით - 6. ინფორმაცია საბაზო პროფესიული უნარების გამოცდის ჩაბარებისა და მიღებული ქულის შესახებ (ამონარიდი სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ელექტრონული პორტალიდან) -
აპლიკანტი ადასტურებს წინამდებარე განცხადებაში (ანკეტაში) მითითებული ინფორმაციისა და რეგისტრაციისათვის წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისწორეს და აცხადებს, რომ გაცნობილია ბსუ-ს **სპეციალური მასწავლებლის** მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღებისა და სწავლის პირობებს

განცხადების (ანკეტის) წარმოდგენის თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	
აპლიკანტის ხელმოწერა	
აპლიკანტის რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირის სახელი, გვარი და ხელმოწერა	
რეგისტრაციის თარიღი	

,,ბსუ-ს სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე 2026-2027 სასწავლო წლისათვის მიღების გამოცხადების შესახებ“
ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 24 **აგვისტოს №** 01-02/158 **ბრძანების**

დანართი №2

2026-2027 სასწავლო წლისათვის
ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის
სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე
აპლიკანტთა დოკუმენტაციის მიმღები კომისია

1. მაია მაღულარია - ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანის ოფისის სპეციალისტი;
2. ქეთევან თადუმაძე - ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დარგობრივი დეპარტამენტის სპეციალისტი (პედაგოგიურ მეცნიერებათა);
3. ნაირა სარჯველაძე - ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დარგობრივი დეპარტამენტის სპეციალისტი (მათემატიკის).

ბსუ-ს სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე
მისაღები საგამოცდო კომისია

1. ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის პედაგოგიურ მეცნიერებათა დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი **ნატო შეროზია** - კომისიის **თავმჯდომარე;**
2. ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის პედაგოგიურ მეცნიერებათა დარგობრივი დეპარტამენტის პროფესორი **ლელა თავდგირიძე** - კომისიის წევრი;
3. ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის პედაგოგიურ მეცნიერებათა დარგობრივი დეპარტამენტის პროფესორი **ნანა მაკარაძე** - კომისიის წევრი;
4. ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის პედაგოგიურ მეცნიერებათა დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი **ნანი მამულაძე** - კომისიის წევრი;
5. ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის პედაგოგიურ მეცნიერებათა დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი **ქეთევან შოთაძე** - კომისიის წევრი;
6. ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის პედაგოგიურ მეცნიერებათა დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი **მარინე გურგენიძე** - კომისიის წევრი;

7. ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის პედაგოგიურ მეცნიერებათა დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი **დარეჯან გელაძე** - კომისიის წევრი;
8. ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის პედაგოგიურ მეცნიერებათა დარგობრივი დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი **მაია ტაკიძე** - კომისიის **მდივანი.**

ბსუ-ს **სპეციალური** მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე
აპლიკანტების საჩივრების განმხილველი
საპრეტენზიო კომისია

1. ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის მათემატიკის დარგობრივი დეპარტამენტის პროფესორი **ლელა თურმანიძე** - კომისიის **თავმჯდომარე;**
2. ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის პედაგოგიურ მეცნიერებათა დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი **მადონა მიქელაძე** - კომისიის წევრი;
3. ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის ასოცირებული პროფესორი **ნინო სამნიძე** - კომისიის **მდივანი.**